პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 152 (3636)

4 1968 წ. აგვისტო, ხუთშაბათი

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



## ფესტივალის სპორტული კალეიდოსკოპი

**სოფია, 3 აგვისტო.** ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის სპორტული პროგრამა ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია. ძალოსანთა ასპარეზობაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია მჩატე წონის ძალოსანი ვ. კრიშჩიშინი, რომელმაც ამ შედეგს აჰიმვაში მიაღწია — 118 კგ.

საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელებმა სტრელნიკოვმა და ამელინმა პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. მორიგი შეხვედრა საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა მოუგეს საფრანგეთის წარმომადგენლებს (3:0), კალათბურთელმა ვაჟებმა კი დაამარცხეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი — 74:52.

დიდ წარმატებას მიაღწიეს პოლონელმა ველოსიპედისტებმა. სოფიის თავისუფლების პარკში 152-კილომეტრიან დისტანციაზე გამართულ ველორბოლაში 5 პოლონელი სპორტსმენი ერთდროულად მივიდა ფინიშთან. ხუთივემ ერთნაირი შედეგი (4.16,7) აჩვენა, პირველობა კი კეგელს ხვდა.

გაირკვა ჩემპიონთა ვინაობა სპორტულ ტანვარჯიშში. ქალთა მრავალჭიდში უძლიერესი იყო ვ. მარინოვა (ბულგარეთი). ბჯენით ხტომებში გაიმარჯვა ე. ბრემერმა (გდრ), ორძელსა და დვირზე — მარინოვამ; თავისუფალ ვარჯიშში პირველობა ე. მიტოვას (ბულგარეთი) ხვდა.

ვაჟთა მრავალჭიდი მოიგო ლი სონ სენმა (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა). მისი თანამემამულე სო სენ რე პირველი იყო ორძელსა და რგოლებზე ვარჯიშში. საბჭოთა სპორტსმენთაგან I ადგილი მხოლოდ ერთს ერგო: ეს იყო ვ. კომისაროვი, რომელმაც ყველას აჯობა თავისუფალ ვარჯიშში. ბჯენით ხტომებში პირველობა მოიპოვა გ. ადამოვმა (ბულგარეთი), ტაიჭზე — სინ ხენ დომ (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა). ძელზე ვარჯიშში უძლიერესი იყო იაპონელი ნაგაია.

# ექსპრომტი ხარკოვის ტრეკზე

ხარკოვი, 3 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ადგილობრივი „დინამოს" ველოტრეკზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის საუწყებო პირად-გუნდური პირველობა, რომელიც მოახლოებული ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირადაც გვევლინება. ჩემპიონატის ორმაგმა მნიშვნელობამ (ბრძოლა, ერთის მხრივ, ოქროს მედლებისთვის, მეორეს მხრივ, ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად) განსაკუთრებული დაღი დაასვა მონაწილეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც და საერთო სატურნირო განწყობასაც. ხარკოვში დღეს თავმოყრილია ჩვენი სატრეკო ველოსპორტის მთელი ნაღები — მწვრთნელები, მეთვალყურეები, და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ბედნიერების მაძიებელი ველოსიპედისტები.

ამრიგად, საერთაშორისო რეგლამენტით მიმდინარე ჩემპიონატი, ფაქტიურად, ოლიმპიური რეპეტიციაა. სწორედ ამიტომ პირველ დღეს მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გათამაშდა — 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში.

კილომეტრი ველოსპორტში საკმაოდ პოპულარული დისტანციაა: კილომეტრი ადგილიდან, კილომეტრი სვლით, კილომეტრი დროის ჩაუთვლელად (სპრინტი). თვითეული მათგანი ველოსიპედისტთა ოსტატობის თავისებური საზომია, მაგრამ ოლიმპიური პროგრამა რატომღაც მხოლოდ ორს სწყალობს — კილომეტრს ადგილიდან და სპრინტს. ამიტომ ხარკოვის ტრეკზე ოქროს მედლები მხოლოდ ამ სახეობებში გათამაშდება.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ომარ ფხაკაძის ამპლუა, როგორც ცნობილია, სპრინტია. გიტებში იგი საერთოდ არ მონაწილეობს, თუ არა რაიმე საგანგებო შემთხვევა. შარშან ასეთი შემთხვევა იყო სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა: საქართველოს ინტერესებისთვის ფხაკაძემ „კილომეტრზეც" სცადა ბედი და მედალიც დაიმსახურა. მას შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს არც ერთხელ არ აუღია სტარტი ამ სახეობაში, არც ერთ ვარჯიშზე არ გაუვლია „კილომეტრი" მაქსიმალური სისწრაფითა და ჩართული წამმზომით. და აი, ჩემპიონატის გახსნის წინადღით მან მოულოდნელად გადაწყვიტა ერთხელ კიდევ დასჭიდებოდა ბედს.

ომარის გადაწყვეტილება ბევრს უაზრობად ეჩვენა: რაც უნდა იყოს, სხვები ამ სახეობაში წლების მანძილზე ვარჯიშობენ და „კილომეტრს" უკვე საკუთრებად თვლიან. ესეც რომ არა, ბ. რომანოვი, ი. ბოდნიეკსი, ა. აგაპოვი, ი. ცელოვალნიკოვი, ვ. ლოგუნოვი და ს. კრავცოვი საერთაშორისო სარბიელზე აღიარებული ოსტატები არიან და მათთან ექსპრომტად შეპაექრება შესაძლოა ექს-ჩემპიონის მარცხითაც დამთავრებულიყო.

ომარის გადაწყვეტილება გაუმართლებელ სითამამედ მოჩანდა იმის გამოც, რომ ზემოჩამოთვლილ მეტოქეებს და სულ ცოტა კიდევ ათ ველოსიპედისტს „კილომეტრი" მეხიკოს ოლიმპიურ საგზურს აძლევდა. ამ უფლების მოპოვებისთვის სამზადისს პრეტენდენტებმა მთელი წელი შეალიეს და, ცხადია, იოლად არ დაუთმობდნენ ადგილს „უცხოს".

მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა — მას წინ აღარაფერი უდგა, სპეციალისტთა გაკვირვებული, ოდნავ სკეპტიკური სახეებისა და წამმზომების მკაცრი რითმული კაკუნის გარდა. თუმცა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პირველი მარცხი რბოლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე განიცადა, როცა ცნობილი გახდა უძლიერესთა სტარტის თანმიმდევრობა: ფხაკაძეს მესამე ნომერი ერგო. მთავარ პრეტენდენტებს ომარის სახით კარგი ორიენტირი გაუჩნდათ.

დღის პირველ ნახევარში საუკეთესო შედეგი არმიელ ლუკიანოვს ჰქონდა — 1.10,45. უძლიერესთა თორმეტეულისთვის, რომელიც სტარტს ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ იღებდა, ლუკიანოვის დრო თავისებური საზომი იყო, მაგრამ იგი არაფერს ნიშნავდა, ვინაიდან მთავარ პრეტენდენტებს ბრძოლა ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდათ. ასეთ დროს ყველაზე ხელსაყრელ პირობებშია ის, ვინც ბოლოს იღებს სტარტს. მას საშუალება ეძლევა რბოლის გრაფიკი მეტოქეთა შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს.

აი, როგორ წარიმართა ბრძოლის დასკვნითი ფაზა უძლიერესთა შორის, სადაც განაწილდა კიდეც საპრიზო ადგილები: ლოგუნოვმა ლუკიანოვის შედეგს 0,19 „ჩამოაჭრა", ფხაკაძემ აჩვენა 1.09,9, ბოდნიეკსმა — 1.10,66, კრავცოვმა — 1.10,22, რომანოვმა — 1.11,63.

დარჩა ორი მონაწილე — სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ამ დისტანციაზე აგაპოვი და ახალგაზრდა ნიჭიერი მრბოლელი ცელოვალნიკოვი, რომელიც ამავე დროს თავის ქალაქში ასპარეზობდა.

აგაპოვმა აჩვენა 1.09,26 და I ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით. ცელოვალნიკოვმა, რომელიც უძლიერესთა ჯგუფის ჩამკეტი იყო, უფრო სწრაფად ჩაიქროლა (1.08,97) და ოქრო დაისაკუთრა. ვერცხლი წილად ხვდა აგაპოვს, ბრინჯაო — ფხაკაძეს.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ფხაკაძემ პირველი მარცხი რბოლის დაწყებამდე განიცადა, ე. ი. მაშინ, როცა ცნობილი გახდა უძლიერესთა სტარტის თანმიმდევრობა. სიტყვა პირველი იმის მომასწავებელია, რომ უნდა იყოს კიდევ ერთი, რიგით მეორე მარცხი — ამ შემთხვევაში ბრინჯაოს მედალი. მაგრამ აი, როგორ შეაფასეს ჩვენი თანამემამულის გამოსვლა სპეციალისტებმა:

თავდაპირველად სიტყვა მივცეთ ფხაკაძის მწვრთნელს ა. მუნიას, რომელმაც თქვა:

— ომარმა შეუძლებელი შეძლო. ასეთ ტექნიკურად რთულ დისტანციაზე ბრინჯაოს მედლის სხვათა შორის მოპოვება ნამდვილი ვაჟკაცობაა. ნუ დავივიწყებთ, რომ 900 მეტრი მან ყველას, მათ შორის, აგაპოვსაც და ცელოვალნიკოვსაც დიდი უპირატესობით მოუგო. ბოლო 100 მეტრზე ომარს გამძლეობა არ ეყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იგი ხომ სპრინტერია.

ი. იპოლიტოვი, წარსულში ცნობილი სპრინტერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— ფხაკაძე დღესაც ფენომენალური იყო. ბრინჯაოს მედალი დიდ წარმატებად მიმაჩნია, — ომარი ხომ მაინცდამაინც არც ეტანება „კილომეტრს". რბოლისას მან ერთი არსებითი შეცდომა დაუშვა, რამაც სულ მცირე 5-6 მეტრი დააკარგვინა. ეს რომ არა, ფხაკაძეს საუკეთესო დრო ექნებოდა.

რ. ვარდანიანი, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი.

— არ მეგონა, თუ ომარი ასე კარგად გაივლიდა კილომეტრს. ფხაკაძე მაინც ფხაკაძეა!

თვით ომარმა კი აი, რა თქვა:

— იყო მომენტი, როცა დისტანციიდან ჩამოსვლაც კი გადავწყვიტე. მეგონა ძალიან სუსტად მივდიოდი. შედეგით კმაყოფილი ვარ. ნელ-ნელა შეიძლება შევიყვარო კიდეც ეს დისტანცია.

**ნ. ბუზუშვილი.**

# უინვარზე მოტოციკლით

დუშანბე, 2 აგვისტო. მთების მრავალხმიანი ექო მოტოციკლის გუგუნმა ჩაახშო. უმაღლესი გლაციოლოგიური ობსერვატორიის თანამშრომლები პამირის მთებში, ფედჩენკოს ყინვარზე პირველი საბჭოთა მოტომთამსვლელის, სპორტის ოსტატ ალექსი ბერბერაშვილის კიდევ ერთ გამარჯვებას ესალმებოდნენ.

ნალჩიკელმა ინჟინერმა, რომელმაც იალბუზის დაპყრობით გაითქვა სახელი, ისტორიაში პირველმა გადალახა მოტოციკლით მსოფლიოში ყველაზე დიდი „ყინულის მდინარე".

დღეს იგი პამირიდან დუშანბეში დაბრუნდა და პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა თავის უჩვეულო მოგზაურობაზე.

ექსპედიცია პამირზე მოაწყო სსრ კავშირის ჰიდრომეტეოსამსახურის მთავარი სამმართველოს მაღალმთიანმა გეოფიზიკურმა ინსტიტუტმა აკადემიკოს ე. ფიოდოროვის თაოსნობით. მისი მიზანი მარტო ახალი სპორტული მიღწევა როდი იყო. მთავარი ამოცანა გახლდათ მაღალმთიანი რელიეფისა და სრული უგზოობის პირობებში ტრანსპორტის გამოყენების შესაძლებლობათა შესწავლა. მოტოშტურმისთვის სამზადისში მონაწილეობდა ცნობილ საბჭოთა სასიმაღლო მთამსვლელთა დიდი ჯგუფიც.

70-კილომეტრიან გზას, რომელსაც ქარავანი ჩვეულებრივ რამდენიმე დღეს უნდება, დასჭირდა სულ... ოთხი საათი. ბერბერაშვილი გვიამბობს, რომ განსაკუთრებით სახიფათო იყო უზარმაზარი პირდაღებული ნაპრალები და გამდნარი თოვლის სწრაფი ნაკადები, მზის ამოსვლისთანავე რომ მოჰყვებოდნენ ყინულის კალაპოტს.

მაგრამ სპორტსმენის ოცი წლის გამოცდილებამ და კარგმა სამამულო სპორტულმა მანქანამ (მისი კონსტრუქცია რამდენადმე შეცვლილი იყო) „აზიის ყინულის გულის" ყველა დაბრკოლება გადალახა.

გლაციოლოგიური სადგურის მეზამთრეებმა ბერბერაშვილსა და მოიერიშე ჯგუფის მონაწილეებს — სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მთამსვლელ იოსებ კახიანსა და ინჟინერ-გეოფიზიკოსს ნიკოლოზ უსატიკოვს „ღრუბელთიერი ვარდების" — ედელვაისების თაიგული მიართვეს.

**[illegible]**

## [illegible] საათი...

◆ ვიში (საფრანგეთი), 3 აგვისტო. ევროპის ჭაბუკ ჩოგბურთელთა არაოფიციალური გუნდური პირველობის — გალეას თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრების მეორე დღეს საბჭოთა წყვილმა (ვ. კოროტკოვი და ა. ვოლკოვი) წააგო მასპინძელთა დუეტთან — ჟ. გოვენთან და პ. პრუასისთან — 9:7, 4:6, 3:6. ფრანგები, რომლებმაც მანამდე 2 ქულა აიღეს საბჭოთა ჩოგბურთელებთან ერთეულთა შეხვედრებში, ფინალში გავიდნენ. ახლა სსრ კავშირის წარმომადგენლებს III ადგილისთვის უწევთ თამაში იტალია — ესპანეთის მატჩში გამარჯვებულთან (აქ ჯერჯერობით წინ არიან იტალიელები — 2:1).

◆ **ბუდაპეშტი, 3 აგვისტო.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელთათვის — კაუნასის „ჟალგირისის" ხელბურთელი ქალებისთვის უნგრეთში დაწყებული საერთაშორისო ტურნირის პირველი მატჩი უიღბლო გამოდგა: სტუმრები დაამარცხა ადგილობრივმა „სპარტაკუსმა" — 14:8. ბრატისლავის „ინტერმა" მოუგო ბუდაპეშტის „ვაშაშს" — 16:11.

◆ ბოლცანო, 3 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში მიმდინარეობს 13 ქვეყნის წარმომადგენელთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში. პირველ დღეს ქალები კოშკიდან, ხოლო ვაჟები ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. წარმატება წილად ხვდათ ჩეხოსლოვაკიელ მილენა დუხკოვას (306,6 ქულა) და იტალიელ კლაუს დიბიასის (319,86). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ქალებში — ნ. ლობანოვა (სსრ კავშირი) — 293,94, ს. ფიდლერი (გდრ) — 290,73 (მეორე საბჭოთა სპორტსმენი გ. ალექსეევა VIII ადგილზეა — 264,84); ვაჟებში — ფ. კანიოტო (იტალია) — 296,34 და ვ. ვასინი (სსრ კავშირი) — 280,05.

◆ ბოგოტა, 3 აგვისტო. კოლუმბიის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობს ცნობილი პოლონური კლუბი „გურნიკი". პირველ მატჩში პოლონელებმა ადგილობრივ „კალისთან" მარცხის სიმწარე იწვნიეს — 1:2. მართალია, 52-ე წუთზე ლიუბანსკიმ ანგარიში გახსნა, მაგრამ მერე მასპინძლებმა 2 ბურთი გაიტანეს. შემდეგი შეხვედრა „გურნიკს" კოლუმბიის „მილიონარიოსთან" ჰქონდა და შური მასზე იძია — 5:0. 3 გოლის ავტორია ლიუბანსკი.

◆ **რიო-დე-ჟანეირო,** 3 აგვისტო. **პოპულარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გარინჩამ ფეხი ვერ მოიკიდა არგენტინულ კლუბ „ბოკა ხუნიორსში". ამ დღეებში მან კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა.**

◆ **ულან-ბატორი,** 8 ქვეყნის 12 მოჭადრაკე ქალმა აიღო სტარტი აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში. I ტურში მოსკოველმა ნ. მედიანიკოვამ დაამარცხა ბიანბა (მონღოლეთი), ლიტმანოვიჩმა (პოლონეთი) — სუხი (ჩეხოსლოვაკია), ხოლო ხულგანამ — ბუქილხამი (ორივე — მონღოლეთი). დანარჩენი პარტიები გადადებულია.

◆ ამსტერდამი, 3 აგვისტო. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე დიდოსტატები კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) და ბრონშტეინი (სსრ კავშირი) მეტოქეთათვის მიუწვდომელი არიან: კავალეკს 10 ქულა აქვს 14-დან, ბრონშტეინს — 9,5. ლიდერებს მისდევს მჭიდრო ჯგუფი, რომელშიც შედიან დიდოსტატები შამკოვიჩი (სსრ კავშირი), ჩირიჩი (იუგოსლავია), ლენდიელი (უნგრეთი), ოსტატები ლანგევეგი და რეე (ორივე—ჰოლანდია). მათ 8-8 ქულა აქვთ.

◆ ჩერკესკი, 3 აგვისტო. ადგილობრივი „დომბაის" მოტობურთელებმა თავიანთ მინდორზე დაამარცხეს პოლტავის „ვიმპელი" (2:1) და სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული გაინაღდეს. ისინი ზედიზედ მესამე წელიწადია ეუფლებიან ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელს. პირველობის 14 მატჩიდან დომბაელებმა 13 მოიგეს, მეტოქეთა კარში 51 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ 11 გაუშვეს. ჩერკესკელები ბრწყინვალედ გამოდიან საერთაშორისო სარბიელზეც: შარშან მათ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს.

# მოჭადრაკე ქალთა სტარტი დუშეთში

ხვალ დუშეთში სტარტს აიღებს საქართველოს ქალთა საჭადრაკო პირველობა. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ტურნირს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის უფლებები მიეცა. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ორი მოჭადრაკე ჩვენი ქვეყნის პირველობის ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

პირველობამ, რომელიც უკანასკნელად 1966 წელს ჩატარდა, რესპუბლიკის საუკეთესო მოჭადრაკეები მიიზიდა. სარბიელზე გამოვლენ: სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი, რესპუბლიკის ოთხგზის ჩემპიონი, ვეტერანი ქ. გოგიავა, მზარდი ოსტატი ც. კობაიძე, ნიჭიერი პირველთანრიგოსნები ნ. ჩიქობავა, თ. ხუგაშვილი, მ. სანაძე (ყველა — თბილისი), დ. გამყრელიძე (ქუთაისი), ნ. გიორგაძე (ბათუმი) და სხვები, სულ 16 მონაწილე.

პირველობის მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. წერონძემ ჩვენ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— რა თქმა უნდა, ტურნირს დაძაბულობას, ეშხსა და ლაზათს მატებს ის გარემოება, რომ მისი ორი პრიზიორი საკავშირო ჩემპიონატში ითამაშებს. ვის აქვს ამის შანსი? სტარტამდე თამამად ალბათ მხოლოდ ალექსანდრიას დასახელება შეიძლება. ისე კი, წარმატების შანსი ალბათ ყველას აქვს, მაგალითად, გამოცდილ მოჭადრაკეს გოგიავას, დუშეთის მკვიდრს ახალგაზრდა კობაიძეს.

ტურნირი 28 აგვისტომდე გასტანს. დასაწყისში ოთხი ტური ზედიზედ ჩატარდება, შემდეგ მონაწილეებს უფრო შეღავათიანი რეგლამენტი ექნებათ.

ვიმედოვნებთ, რომ მოჭადრაკეთა ესოდენ მნიშვნელოვანი შეჯიბრება დუშეთში, კარგ სამსახურს გაუწევს იქ ჭადრაკის პოპულარიზაციას.

# ტანმოვარჯიშეებმა გვასახელეს

ბელორუსიის დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება „შრომითი რეზერვების" XI საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. დღეს სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა კოლონები საზეიმო მარშით გაივლიან მინსკის ქუჩებში. ყველა დელეგაციის წევრები, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლები გვირგვინებით შეამკობენ გამარჯვების ობელისკს და საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებიდან წამოღებულ მიწას მიიტანენ იქ. ეს სპეციალური ესტაფეტა მინსკიდან ბრესტისკენ გააგრძელებს გზას.

— როგორ აქვთ საქმე საქართველოს სპორტსმენებს? — ვკითხეთ მსაჯთა მთავარი კოლეგიის წევრებს.

— საქართველოს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა სპარტაკიადა წარმატებით დაიწყეს, — იყო პასუხი. — განსაკუთრებული მოწონება ხვდათ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს. დამთავრებული შეჯიბრებების შემდეგ საქართველოს გუნდი III ადგილზეა. მაგრამ სპარტაკიადის მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა.

საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელებს ძლიერი მეტოქეები ჰყავთ — მოსკოვისა და უკრაინის სპორტსმენები. მოსკოვის გუნდთან პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ეს წარმატებაა, მაგრამ ყველაფერს მაინც უკრაინის ფეხბურთელებთან მატჩი გადაწყვეტს. გაგახსენებთ, რომ 1956, 1961 წლებში ჩვენები სპარტაკიადის ჩემპიონები იყვნენ.

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელმა გოგონებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს უკრაინის (5:2) და აზერბაიჯანის (5:3) გუნდებთან. უფრო სუსტად გამოვიდნენ ჭაბუკები.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალურმა საბჭომ დააწესეს მთელი რიგი გუნდური და პირადი პრიზები, მათ შორის, საგანგებო პრიზები „ოლიმპიური რეზერვებისთვის", „მაღალი სპორტული შედეგებისთვის", „მაღალი სპორტული ოსტატობისთვის".

საქართველოს წარმომადგენლებს აქვთ ამ პრიზების მოპოვების შესაძლებლობა.

ბ. კოვალიოვი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი.

## აი, დასტური!

ტანმოვარჯიშე გოგონებში იმარჯვეს მასპინძლებმა — ბელორუსიელმა სპორტსმენებმა. მრავალჭიდში პირველი იყო ვ. ტიტორენკო, რომელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა — 73,95. გამარჯვებულს 0,6 ქულით ჩამორჩა ნ. ლევინა. ბელორუსიელი გოგონები უძლიერესნი იყვნენ ცალკეულ იარაღებზეც. მათ გამარჯვება დათმეს მხოლოდ თავისუფალ ვარჯიშში, სადაც პირველობდა მოსკოველი ლ. ლუკინა.

ჭაბუკებში ჩემპიონი გახდა საქართველოს გუნდი. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ზუგდიდელმა ნ. გარდავამ — 107,75.



## ნიჩბებით თბილისის ზღვაზე

ამ დღეებში თბილისის ზღვაზე დამთავრდა საქართველოს იუნიორთა პირად-გუნდური პირველობა ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 18-19 წლის სპორტსმენები. ეს იყო შესარჩევი ტურნირი საკავშირო პირველობის წინ, რომელიც 15 აგვისტოს დაიწყება შაულიაიში (ლიტვა).

ახალგაზრდა ნიჩბოსნები ორი დღის მანძილზე ასპარეზობდნენ 500, 1000 და 5000 მეტრზე. პირველ დღეს სპორტსმენებს ამინდი ხელს არ უშლიდა, მეორე დღეს კი ქარი ამოვარდა, ტალღები აიმაღლა და შეჯიბრების მონაწილეებს გაუჭირდათ. უძლიერესები სიძნელეს წარმატებით გაუმკლავდნენ.

ყველაზე გრძელ დისტანციაზე — 5000 მეტრზე საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს: ხ. ცხოვრებოვმა („ლოკომოტივი", ერთადგილიანი ბაიდარა — 19.18,0), ტ. ჩიტაიამ („ბურევესტნიკი", ერთადგილიანი კანოე — 25.03,1), ი. ამეტოვმა და ა. ოლეინიკმა („ლოკომოტივი", ორადგილიანი ბაიდარა — 16.54,0), ს. არეშევმა და ვ. გიგაურმა („ლოკომოტივი", ორადგილიანი კანოე — 21.35,0).

მათგან უმეტესობამ ჯერ კიდევ წინა დღით მოიპოვა ჩემპიონის წოდება 1000-მეტრიან დისტანციაზე.

500 მეტრზე რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: პ. ვიშნიაკოვი („ვოდნიკი", ერთადგილიანი ბაიდარა — 2.01,0), ი. მიქაძე (ასკ, ერთადგილიანი კანოე — 2.17,8), თ. ბერიშვილი და ა. ოლეინიკი („ლოკომოტივი", ორადგილიანი ბაიდარა — 1.52,6), ნ. კალჩუკი და ი. ძიგოევი („ვოდნიკი", ორადგილიანი კანოე — 2,15,7). გოგონებში იმარჯვა ნ. ლუცენკომ („ვოდნიკი", ერთადგილიანი ბაიდარა — 2.19,2). მანვე ი. გუჯაბიძესთან ერთად დაისაკუთრა ჩემპიონობა ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში — 2.15,2.

ბ. ქვათაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „ლოკომოტივის" წარმომადგენლები ს. არეშევი და ვ. გიგაური (მარჯვნივ) ასპარეზობის დროს.

ფოტო ავტორისა.

## მადლი მარჯვენისა

წითელწყაროს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ყოჩიაშვილთან საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. 50 ფიზკულტურული კოლექტივიდან მან მოწინავენი დაასახელა და მაინც სოფელ ჯაფარიძეში ჩასვლა მირჩია. მარწმუნებდა, ამ სოფლის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივი ყველას სჯობს სპორტული მაჩვენებლებით.

ავტომანქანამ გეზი ჯაფარიძისკენ აიღო. გზადაგზა ვაკვირდებოდი გამრჯე მშრომელი მარჯვენით მოვლილი სიმინდისა და პურის ყანებს, ვენახებს, მოასფალტებული ქუჩის ორივე მხარეს ალმართულ ორსართულიან სახლებს.

მანქანა სოფლის ცენტრში გაჩერდა. ჩემი მეგზური მთავაზობს დავათვალიეროთ სტენდი, რომელიც ნათლად ადასტურებს, თუ როგორ ცხოვრობდა აქაური გლეხი 50, 30 თუ ამ 10 წლის წინათ. რამოდენა კონტრასტია!

... კოლმეურნეობის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ოთარ სიხარული სტადიონის ტერიტორიაზე თავს დასტრიალებდა ახალგაზრდებს, ეხმარებოდა მათ ფეხბურთის ახალი ძელების დადგმაში. ხაზავდნენ ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნებს. ჯაფარიძის კოლმეურნეობის სახელოვან თავმჯდომარეს ნ. ყოჩიაშვილს სოფლის ფიზკულტურელებისთვის კარგა მოზრდილი ადგილი გამოუყვია სპორტული ბაზების მოსაწყობად. იქვე ახლოს ტბაცაა. სამუშაოსაგან თავისუფალ საათებსა თუ დღეებში მას ბევრი სტუმარი ჰყავს, განსაკუთრებით ახლა, ამ პაპანაქება სიცხეში.

— აქ წყალჯომარდობის შესანიშნავი სადგურის მოწყობა შეიძლებოდა, — ვუთხარი სიხარულს.

— გეგმაში გვაქვს. მხოლოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უნდა შევუთანხმოთ ჩანაფიქრი.

უნებლიეთ გამახსენდა ერთ-ერთი რაიონის მდიდარი კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა გულისტკივილი: თავმჯდომარეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმის შესრულების მეტი არაფერი აინტერესებსო და სიხარულს ვუთხარი:

— თქვენს თავმჯდომარეს თავზე საყრელი საქმე აქვს, ალბათ თქვენთვის არც კი ეცლება.

ყოჩიაშვილმა და სიხარულმა გაკვირვებით გადმოხედეს.

— თავმჯდომარისთვის რაც კი გვითხოვნია, უარი არაფერზე უთქვამს, — მითხრა სიხარულმა.

— ჩვენთვისაც ხშირად გამოუწვდია დახმარების ხელი, — დაუმატა ყოჩიაშვილმა.

სიტყვა უკან დავიბრუნე.

— წლეულს უკვე არსებულ ბაზებს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზიც დაამშვენებს. შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს და სულ მალე უხვ სპორტულ მოსავალსაც მოვიმკით, — არ ცხრებოდა ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

მართლაც მოწინავეა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც 400-მდე კაცს აერთიანებს. აქ ჩამოყალიბებულია და რეგულარულად მეცადინეობს მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, ხელბურთის, ძალოსნობის, ჭადრაკის, შაშის, ტყვიის სროლის, ნადირობის, თევზაობის, ველოსპორტის სექციები.

— თვითმფრინავები რომ გვქონდეს ამ სპორტშიც გამოჩნდებოდნენ მეცადინეობის მსურველები, — იხუმრა სიხარულმა.

რაიონულ შეჯიბრებებში აქაურების წარმატებებით დავინტერესდი. ფიზკულტურის ინსტრუქტორმა თასები და დიპლომები მაჩვენა და საუბარი განაგრძო:

— ეს თასი რაიონულ სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის მივიღეთ, ეს ფეხბურთელთა, კლასიკურ მოჭიდავეთა, ფრენბურთელი გოგონების, მძლეოსანთა ჩემპიონობის დამადასტურებელი ჯილდოებია. ველოსპორტში ვერ ვიმარჯვეთ — II ადგილი დავიკავეთ, მაგრამ მომავალში აქაც პირველები უნდა ვიყოთ.

წითელწყაროს რაიონულ ნაკრებ გუნდებში თამაშობენ ფრენბურთელები ნანი ტოკლიკიშვილი, ი. გუმაშვილი, ფეხბურთელები გ. პაპიტაშვილი, ზ. კოხტაშვილი, ნ. რამაზანაშვილი.

ფიზკულტურის ინსტრუქტორსაც ხშირად ნახავთ მძლეოსნურ სექტორზე. აქაურ სპორტსმენებს ხშირად იწვევენ მოჭიდავეთა, მოჭადრაკეთა და სპორტის სხვა სახეობათა რაიონულ გუნდებში.

და განა მარტო ჯაფარიძელები ამაყობენ სპორტული გამარჯვებებით? რაიონის ბევრ სოფელში ამ ბოლო ხანს მკვეთრად გაუმჯობესდა ფიზკულტურული საქმიანობა, მომრავლდა ბაზები. სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში მოაწყვეს ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის მოედანი. სულ მალე დაიწყებენ დარბაზის, საცურაო აუზის მშენებლობას. ასევეა გამარჯვებაში, ზემო მაჩხაანში და სხვაგან.

სპორტული საქმიანობის გამოცოცხლება იმანაც განაპირობა, რომ რაიონის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა ფიზიკურ გაკაჟებას, — ეს საკითხი ხშირად დგას პარტიის რაიკომის ბიუროს დღის წესრიგში. ამას წინათ პარტიული აქტივის კრებაზე რაიკომის მეორე მდივანმა ი. ბალაშვილმა და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. პარტიულმა აქტივმა დაავალა სკოლების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ხელი შეუწყონ სპორტბაზების მშენებლობას, ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმას.

მუდამ სასიამოვნოა სტუმრობა იქ, სადაც ფიზკულტურა და სპორტი ყველას უყვარს, სადაც მშრომელთა ჯანმრთელობას მთელი გულისყურით ეკიდებიან. სწორედ ასეთია წითელწყაროს რაიონი, სადაც შრომისა და სპორტის ყადრი ესმის ყველას — დიდსა და პატარას.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წითელწყარო.

## თასი — თბილისის „დინამოს"

რეგბიში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის მორიგ ტურში მასპინძლებმა — თბილისელებმა დიდი ანგარიშით სძლიეს კიეველებს — 28:9, ხოლო მოსკოველებმა მოუგეს ერევნელებს—19:3.

I ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა თბილისისა და მოსკოვის კოლექტივთა შეხვედრას, რომლებმაც ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (4-4). ქართველი რეგბისტებისთვის ფრეც კმაროდა, ვინაიდან გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით ისინი მოსკოველებს საგრძნობლად სჯობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამოს" სტადიონზე გამართული მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა.

შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. მოსკოველები, რომლებიც ძალისმიერი ბრძოლის მოყვარული არიან, თავიდანვე ცდილობდნენ მეტოქისთვის თავს მოეხვიათ ფიზიკური ბრძოლა. მასპინძლებმა მალე მოიგერიეს მათი ათწუთიანი შეტევა და თვითონ გადავიდნენ იერიშზე. მე-15 წუთზე მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო ი. აბაშიძემ, გვერდი აუარა ვ. სოლოვიოვს, ვ. ბოლდირევს, ბ. პონომარიოვს და გარლევაზე გაიყვანა ი. იობიძე, რომელიც მეტოქის კარის მისადგომებთან მოულოდნელად წაიქცა და გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა. 38-ე წუთზე შერკინებისას სტუმრები დაჯარიმდნენ და 35 მეტრიდან ძლიერი დარტყმით თბილისელთა კაპიტანმა ი. კიზირიამ ანგარიში გახსნა — 3:0. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმის მე-8 წუთზე სოლოვიოვი გაექცა თბილისელ მცველებს და ანგარიში გაათანაბრა — 3:3. აქვე ვ. კრუპენინმა რეალიზაცია ვერ განახორციელა.

დარჩენილ დროში ბრძოლა ძირითადად მოსკოველთა ნახევარზე მიმდინარეობდა. მასპინძლებმა შეძლეს კიდეც მოწინააღმდეგის კარის ხაზს იქით ბურთის დადება, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. ამან თბილისელებს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა და ბროლის თასი მოუტანა. გამარჯვებული გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ჩიკვაიძე, ხვედელიძე, აკოფოვი, კეთილაძე, რეხვიაშვილი, ენდელაძე, თოფურიძე, კიზირია, გ. აბაშიძე, შარაშენიძე, ისაევი, ზამიჩკინი, იობიძე, ი. აბაშიძე, ბუგიანაშვილი, ლადუა, ენდელაძე, კემელავა, კოდუა, გოგლიძე.

III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ კიეველებს, რომლებმაც დაამარცხეს ერევნელები — 8:3.

ი. იუნაევი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს" გუნდი.

ფოტო ავტორისა.

## რამდენიმე სტრიქონით

**ზუგდიდი**

ამას წინათ „ცოდნის" საქალაქო საბჭომ ენგურჰესის მშენებელთა კლუბში მოაწყო ჟურნალისტ თ. გიორგაძის ლექცია: „სასიქადულო ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი". ლექტორმა ილაპარაკა იმ ახალ მასალებზეც, რომელთაც მან ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიაკვლია ა. დადიანის არქივზე მუშაობისას.

ბ. ალშიბაია,
ა. ბარამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიმსახურებთ უფრო მკაცრად

ამ ბოლო ხანს ჩვენს პრესაში სულ უფრო ხშირად შეხვდებით სამართლიან პრეტენზიებს ფეხბურთის მსაჯთა მიმართ. თვით უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრებშიც საკმარისად აქვს ადგილი არბიტრთა შეცდომებს. ამის მოწმე მაყურებლებიც არიან.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი ამ საკითხზე ესაუბრა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარეს **ნ. ლატიშევს.** ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველთათვისაც უინტერესო არ იქნება გაეცნონ, რა ღონისძიებები გატარდება მსაჯობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

● **რომელ მატჩებში ჰქონდა ადგილი არაკვალიფიციურ მსაჯობას?**

— „ზენიტისა" და „არარატის" მატჩში მოსკოველმა მსაჯმა ი. ლუკიანოვმა ვერ შეძლო დროზე აღეკვეთა ორივე გუნდის მოთამაშეთა უხეშობა. მისი განმარტება, რომ მინდორზე მომხდარი ჩხუბი არ დაუნახავს, დაუშვებელია კვალიფიციური მსაჯისთვის. ვერ შეძლეს უხეშობის აღკვეთა მოსკოველმა მსაჯმა სოლოვიოვმა, ტომსკელმა პროსვირინმა, მინსკელმა ხოდინმა. მეტი სიმკაცრე უნდა გამოეჩინა წესრიგის დასამყარებლად რიგელ გურმანს, როსტოველ ვასილიევს, კრასნოიარსკელ მიტავსკის, შეცდომა დაუშვა ლენინგრადელმა ი. იაკობსონმა „სპარტაკისა" და „ჩერნომორეცის" მატჩში, სადაც ვერ შეძლო განესაზღვრა კარის აშკარა აღება და გოლი ჩათვალა მხოლოდ მოთამაშეთა მოთხოვნისა და გვერდითი მსაჯის თანხმობის შემდეგ. იმავე იაკობსონმა ცუდად იმსაჯა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსა" და მინსკის „დინამოს" შორის.

განსაკუთრებულ განგაშს იწვევს მსაჯების ლიბერალური დამოკიდებულება თავისუფალი, საჯარიმო და კუთხური დარტყმების შესრულებისას 9 მეტრის წესის დამრღვევთა და სიმულანტ ფეხბურთელთა მიმართ.

● **სხვა რა ნაკლოვანებებია დამახასიათებელი წლევანდელი სეზონის მსაჯობისთვის?**

— ხშირად არაზუსტია მსაჯების ურთიერთმოქმედება თავიანთ თანაშემწეებთან და პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებისთვის ზოგჯერ სწორედ მათზე გადააქვთ. ხდება ხოლმე, რომ თანაშემწეებიც აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და არბიტრის მოვალეობებში ხელს ურევენ. ამას დეზორგანიზაცია შეაქვს თამაშში. ფეხბურთელები ერევიან მსაჯთა საქმიანობაში. მაგალითად, მოსკოვის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრაში მსაჯმა ლიპატოვმა ჩათვალა სტრელცოვის გოლი, მაგრამ მისმა თანაშემწემ შუმუნოვმა ალამი ასწია, თითქოს, ამ მომენტში დარღვევას ჰქონოდა ადგილი. შუმუნოვი ამ დროს სტრელცოვისგან უფრო შორს იყო, ვიდრე ლიპატოვი. საბოლოოდ, ლიპატოვმა უარი თქვა თავის პირვანდელ გადაწყვეტილებაზე.

ზოგჯერ ზერელედ აფორმებენ მატჩის დოკუმენტაციას. ამაში შემჩნეული არიან სოჭელი კობახიძე, მოსკოველები ესტიგნეევი, რუდნევი, ლუკიანოვი, ლენინგრადელი ივანოვი.

● **რა მიგაჩნიათ მსაჯთა შეცდომების მიზეზად?**

— პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრი შეცდომა გამოწვეულია მსაჯების გაუბედაობით, მათი არასაკმარისი მორალურ-ნებელობითი მომზადებით. ბევრი შეცდომა დაკავშირებულია არბიტრთა თეორიულ მომზადებაში არსებულ ხარვეზებთან. ზოგიერთი მსაჯი ვერ ჰყვება თამაშის ტემპს, ვერ მოძრაობს სათანადო სისწრაფით, რაც გამოწვეულია მათი სუსტი ფიზიკური წრთობით. ამის შედეგია, რომ მსაჯები შორს არიან ხოლმე დარღვევის ადგილიდან და არ შეუძლიათ სწორად მოახდინონ ფაქტების კვალიფიცირება. უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ სტადიონზე ხანდახან იქმნება ვითარება, რომელიც ართულებს არბიტრთა მოქმედებას. ზოგიერთი მსაჯი ვერ ავლენს საჭირო პრინციპულობას, იბნევა, არბილებს სასჯელს მოთამაშეთა მიმართ ან სრულიადაც არ მიმართავს მას. ყოველთვის სწორად ვერ იქცევიან გუნდების მწვრთნელები და ხელმძღვანელებიც, რომლებიც მოთამაშეთა თანდასწრებით დაუშვებელ ფორმაში გამოთქვამენ უნდობლობას მსაჯთა მიმართ. თავიანთი მხრივ ფეხბურთელები დაუსაბუთებლად გამოხატავენ უკმაყოფილებას მსაჯთა მიმართ, აპელაციებით მიმართავენ მაყურებლებს და დამატებით სიძნელეებს უქმნიან მატჩის ნორმალურად ჩატარებას.

● **რა ზომებს მიმართა მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ?**

— გადაწყდა აგვისტოში ჩატარდეს მსაჯთა რესპუბლიკური მეთოდური სემინარები. ადგილობრივი ფედერაციები ვალდებული არიან რეგულარულად გაუწიონ კონტროლი მსაჯთა მომზადებას და აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარონ მაყურებელთან.

პრეზიდიუმმა დაავალა მსაჯებს სისტემატური მეცადინეობით აიმაღლონ თეორიული, მორალურ-ნებელობითი და ფიზიკური მომზადება, გადაჭრით ებრძოლონ უხეშ თამაშს, ფეხბურთელთა უდისციპლინო საქციელს, აწარმოონ ბრძოლა არასპორტულ გამოხდომებთან, სიმულაციასთან, 9 მეტრის წესის დამრღვევებთან თავისუფალი, საჯარიმო და კუთხური დარტყმების დროს. ურჩ დამრღვევებს მინდვრიდან გაძევება ელით.

არბიტრებს წინადადება მიეცათ მკაცრად დაიცვან ოქმების შევსების წესი. მსაჯების თანაშემწეები ვალდებული არიან იმოქმედონ ზუსტად წესების ჩარჩოებში.

● **როგორ დასაჯეთ ის მსაჯები, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს?**

— იაკობსონი აღარ იმსაჯებს „ა" კლასის 1 ჯგუფის გუნდების თამაშებს, ხოლო პროსვირინი, მილხი და გურმანი — „ა" კლასის მატჩებს. ლუკიანოვს, ვასილიევს, მიტავსკის, სტრელეცკის, სოლოვიოვს, ხოდინს მიეთითათ უხეში თამაშის წინააღმდეგ სუსტი ბრძოლისთვის. შუმუნოვს აეკრძალა მსაჯის თანაშემწედ ყოფნა „ა" კლასის კოლექტივების შეხვედრაში.

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას გუნდების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელთა ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაუშვებელია უტაქტო მიმართვა მსაჯებისადმი, რომ საჭიროა ფეხბურთელთა შორის მსაჯთა მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება.



# ოლიმპიური პროგრამით

დაკანონებული ტრადიციის მიხედვით, საქართველოს აფროსანთა პირად-გუნდური პირველობა წლეულსაც შავ ზღვაზე, სოხუმის ყურეში ჩატარდა. აქ თავი მოიყარეს რესპუბლიკის უძლიერესმა აფროსნებმა, რომლებიც საკავშირო ასპარეზობისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება 16-24 აგვისტოს ჩატარდება რიგაში.

ტურნირში მონაწილეობდა ნავების ყველა ოლიმპიური კლასი: „ფინი", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ვარსკვლავისებური", „ურჩხული", „5,5-რ" და ეროვნული კლასი „მ".

წესის თანახმად, რბოლის დისტანცია ოლიმპიური იყო — სამკუთხედზე. მარყუჟი პირდაპირი (12 მილზე მეტი). სულ მოეწყო 7 რბოლა (ყოველდღე — თითო). ჩათვლაში 6 საუკეთესო შედეგი შედიოდა.

პირდაპირ უნდა ითქვას, წლეულს აფროსნებს ბედმა გაუღიმა. შეჯიბრების დღეებში ჰქროდა საშუალო სიძლიერის ქარი, რომელმაც ინტერესი შემატა ბრძოლას. ტურნირი კარგად იყო მოწყობილი და დიდძალი მაყურებელიც მიიზიდა.



„ფინის" კლასში ტოლი არ ჰყავდა „ტრუდის" წარმომადგენელს ვ. ბუევსკის (აფხაზეთი). მან ზედიზედ 5 რბოლა მოიგო, I ადგილზე გავიდა და ამ კლასში საქართველოს ჩემპიონობა გაინაღდა. II ადგილი დაიკავა სოხუმის დოსააფის წარმომადგენელმა ა. ვოინსკიმ, III — თბილისელმა გ. ნასარიძემ („განთიადი").

„მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში ყველას აჯობა თბილისელი თ. ზოიძის ეკიპაჟმა.

ეროვნულ კლასში („მ") პირველობისთვის ჭიდილი მეოთხე რბოლამდე გაგრძელდა. გაიმარჯვა მესაჭე რ. გაჩეჩილაძის (თბილისი) ეკიპაჟმა. II ადგილზეა ნ. ჩაკლოვის (აფხაზეთი) ეკიპაჟი.

შეჯიბრების პროგრამაში უკონკურსოდ ჩააბეს ოლიმპიური კლასები „ვარსკვლავისებური", „5,5-რ" და „ურჩხული". მესაჭეებმა ნ. დავლიანიძემ, გ. ლაზარაშვილმა და ი. ფერაძემ გამარჯვებულებთან ერთად შეადგინეს საქართველოს ნაკრები გუნდი. სოხუმის შეჯიბრება ყველა მათგანისთვის კარგი მომზადება იყო.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს თბილისელებმა, II—აფხაზეთის წარმომადგენლებმა.

**ვ. სემიონოვი.**
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევიდან — საქართველოს ჩემპიონები „მ" კლასში ასპარეზობის დროს. მარცხნიდან — მატროსი ნ. ხოხელია, მებაგირე ი. სიორიძე, მესაჭე ი. გაჩეჩილაძე; შეჯიბრების მომენტი; „ფინის" კლასში გამარჯვებული ვ. ბუევსკი; „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში გამარჯვებულები მესაჭე თ. ზოიძე (მარცხნივ) და მებაგირე ი. მგალობლიშვილი.

ფოტო ავტორისა.



## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თბილისის „ლოკომოტივმა" მიიღო ორჯონიკიძის „სპარტაკი". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 4 აგვისტოსათვის

I „ა" ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 22 | 17 | 3 | 2 | 50—11 | 37 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 21 | 16 | 4 | 1 | 43—9 | 36 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 22 | 14 | 4 | 4 | 28—11 | 32 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 20 | 10 | 6 | 4 | 41—19 | 26 |
| „დინამო" (მინსკი) | 21 | 10 | 6 | 5 | 32—22 | 26 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 21 | 9 | 6 | 6 | 33—25 | 24 |
| „დინამო" (თბილისი) | 21 | 9 | 6 | 6 | 28—27 | 24 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 21 | 10 | 3 | 8 | 29—26 | 23 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 21 | 8 | 5 | 8 | 25—28 | 21 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 22 | 8 | 4 | 10 | 28—30 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 21 | 4 | 8 | 9 | 31—42 | 19 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 22 | 7 | 5 | 10 | 23—37 | 19 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 21 | 7 | 3 | 11 | 28—30 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 21 | 5 | 7 | 9 | 18—31 | 17 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 21 | 7 | 2 | 12 | 22—44 | 16 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 21 | 4 | 7 | 10 | 20—24 | 15 |
| ასკა (როსტოვი) | 21 | 4 | 6 | 11 | 26—35 | 14 |
| ცსკა | 20 | 4 | 4 | 12 | 16—28 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 21 | 3 | 6 | 12 | 27—47 | 12 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 21 | 2 | 6 | 13 | 18—46 | 10 |

### „ბ" კლასი

**3:0, 1:0**

2 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე რსფსრ-ს „ბ" კლასის ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### გორიდან...

კვლავ წარმატებით თამაშობს III ზონის ლიდერი — გორის „დილა", რომელმაც ამ დღეს უმასპინძლა მინგეჩაურის „ტექსტილშჩიკს".

მატჩის წინ გამოიდარა, მაგრამ მთელი დღის ნაწვიმარ მინდორზე თამაში მაინც ჭირდა. სტუმრებმა თავდაპირველად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს და საკმაო ხანს შეტევებს ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ შესამჩნევი შეიქნა „დილის" საერთო უპირატესობა. მინგეჩაურელებს სულ უფრო უჭირდათ კარის დაცვა და 30-ე წუთზე მათმა ერთ-ერთმა მცველმა წესი დაარღვია თავის საჯარიმო მოედანზე. პენალტი ზუსტად გამოიყენა ბურჯანაძემ — 1:0.

„ტექსტილშჩიკმა" კიდევ ერთხელ სცადა ინიციატივის ხელში აღება მეორე ტაიმის დასაწყისში, მაგრამ ეს აშკარად აღემატებოდა მის ძალას. გორელებს კვლავ ხელთ ეპყრათ თამაშის სადავეები — შეტევა შეტევას მოსდევდა და 70-ე წუთზე კომბინაცია მარღიშვილი — აბაიშვილი — კაპანაძე მეორე გოლით დამთავრდა.

დაბოლოს, როცა მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, აბაიშვილმა კიდევ ერთხელ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

გაიმარჯვა ლიდერმა — 3:0.

**გ. გოზალიშვილი.**

#### ქობულეთიდან...

ადგილობრივი „შუქურას" მატჩი კრიმსკის „უროჟაისთან" მიმდინარეობდა ატალახებულ მინდორზე. ქობულეთელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. უკვე ათიოდე წუთის შემდეგ შაფათავამ და პოლტაჩიდიმ დაკარგეს ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი.

მაინც, გოლი მალე იქნა გატანილი. სიორდიამ მაღალი ბურთი „დაკიდა" მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე, შაფათავამ თავით გადასცა იგი გაგნიძეს, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა „უროჟაის" მცველებთან ბრძოლაში — 1:0.

ტაიმის დასასრულამდე იმავე გაგნიძეს და ურუშაძეს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. ასევე იყო მეორე ტაიმშიც. ერთ-ერთ მომენტში პოლტაჩიდის მიერ დარტყმულმა ბურთმა მიაღწია ზედ კარის ხაზს და აქ გაჩერდა... გუბეში. ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ სტუმრებსაც, კერძოდ, კარგ პოზიციაში იყო კუკსოვი.

**ლ. ტრაპაიძე.**

### ტრიუმფირებს „ამირანი"

**ქუთაისი,** 2 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა „ტყავის ბურთის პრიზის" რესპუბლიკური ფინალური გათამაშება უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ოჩამჩირის „ამირანი" და თბილისის „იმედი". ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს — 2:1. მათ დამსახურებულად ხვდათ წილად I ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისელები და ქუთაისის „გაზაფხული".

**შ. ნიჟარაძე.**

# გულახდილი საუბარი

ვიქტორ კორჩნოი

დიდოსტატი ტალი მუდამ კარგად მყავდა წარმოდგენილი, მაგრამ მისი საჭადრაკო სახე მთლიანად მხოლოდ მატჩის შემდეგ დავინახე. პირველ ყოვლისა (თუმცა ეს საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის პარადოქსული იქნება) — ტალი დიდი შაბლონის მოჭადრაკეა. მისი სტრატეგიული გეგმები არ გამოირჩევიან არც სიახლით, არც ორიგინალობით. მაგრამ სალი შაბლონისა და უდიდესი ტაქტიკური ტალანტის, დაუშრეტელი ოპტიმიზმისა და ბრწყინვალე სპორტული თვისებების შერწყმას ტალისთვის ტურნირში ბევრი თვალსაჩინო წარმატება მოუტანია. სწორედ ტურნირში და არა მატჩში. თანაბარი კლასის მოჭადრაკეების მატჩებში გადამწყვეტი როლი სტრატეგიული იდეების ორიგინალობას ენიჭება.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ მატჩში ტალის დამარცხება იოლი საქმე იყოს. რიგელი მოჭადრაკის სტილი იმდენად დინამიური და აქტიურია, მიზნისკენ მისი ლტოლვა ისე დაუძლეველია, რომ მეტოქენი მუდამ უდიდესი ნერვული დაძაბულობის მდგომარეობაში იმყოფებიან. სხვაგვარად ტალი არც საკუთარ თავს ინდობს, არც მეტოქეს.

ვიცოდი, რომ ჩვენი ბრძოლა მძიმე და დამქანცველი იქნებოდა, მაგრამ ასეთი დაძაბულობა ვერ წარმომედგინა. გამარჯვება ძალიან გამიჭირდა. მე მგონი სხვა დიდოსტატებთან ათი მატჩის თამაში უფრო ადვილია, ვიდრე ტალთან ერთისა...

ჩვენი მატჩის ტაქტიკურ ქარგას ტალი კარნახობდა. მე ისლა მრჩებოდა, რიგელის სახიფათო მოსახვევებს შევჩვეოდი. ასეთი მოსახვევი კი სამი იყო.

### მოსახვევი პირველი: ტალს ზონა უჭირავს

ის, რომ მატჩის წინ ტალი თავს დაჯერებულად ვერ გრძნობდა, პირველ პარტიებშივე გამოჩნდა. იგი აშკარად ერიდებოდა „ახლო ბრძოლას“, „ცივად“ თამაშობდა, თითქოს დიდ საუბარში მიწვევდა, ისეთ დებიუტებს ირჩევდა, რაც მას საყვარელი, ტიპიური ტალისეული პოზიციების მიღების შესაძლებლობას არ აძლევდა.

ამ ტაქტიკამ რიგელს წარმატება როდი მოუტანა. მიმაჩნდა, რომ „ახალი ტალი“, რომელიც მხოლოდ მინიმალური სადებიუტო უპირატესობით კმაყოფილდებოდა, საშიში არ არის. I და II პარტიებში დაშვებული ტექნიკური უზუსტობანი შეიძლება ძვირად დამჯდომოდა, მაგრამ ტალი ამ მომენტში ალბათ მოგებაზე არც ფიქრობდა. ჩემი აზრით, ამიტომაც ვერ მოახდინა მან უპირატესობის რეალიზება.

როგორც იქნა, IV პარტიაში ტალი მიხვდა, რომ წმინდა პოზიციური საშუალებებით ვერას დააკლებდა. მან წააგო სადებიუტო ბრძოლა და სამაგიეროდ ვერავითარი ტაქტიკური შანსი ვერ მიიღო. ამ პარტიამ ჩემი ნაკლიც ამოატივტივა: ძველმა ავადმყოფობამ — მეტოქის პაიკებისადმი სიხარბემ სახიფათო რეციდივი გამოიწვია.

ტალი



კორჩნოი

თეთრების უპირატესობა უდავოა. უბრალო 21. მf4 შემდგომი 22. ეad1 ან 22. ეfd1 (გარემოების მიხედვით) შავებს გადარჩენის იმედს უსპობდა. მაგრამ პაიკის აყვანისგან თავი ვერ შევიკავე და 21. კ:a5? ეg6 22. მg3 d4! 23. ლ:g5 ე:g5 24. კb6 ე:a1 25. ე:a1 შემდეგ ტალს 25. ... d3!-ით ალბათ ყაიმის მიღწევა შეეძლო, რადგან უვარგისია 26. ეa8, 26. ... d2 გამო, ხოლო 26. ეd1 ეb5 27. კd4 მ:d4 28. ed ე:b2 შავებს კარგ კონტრთამაშს აძლევდა.

მაგრამ ტალმა ვერ ისარგებლა საჩუქრით და ითამაშა 25. ... de? რამაც 26. ეa8 მe7 27. fe ეd5 28. e4 შემდეგ შავები უიმედო პოზიციამდე მიიყვანა.

ასე განვლო ოთხმა პარტიამ, ანგარიშში დავწინაურდი, ხოლო ტალმა „თავისი თამაში“ ჯერ კიდევ ვერ აჩვენა. მან ეს V პარტიაში შეძლო.

### მოსახვევი მეორე: ტალი რწმენას იძენს

IV პარტიაში წაგებამ ტალს ფრონტი შეაცვლევინა. V პარტიაში მან მატჩში პირველად გამოიყენა თავისი საყვარელი სვლა 1. e2—e4. ყოველმხრივ ჩანდა რომ იგი მტკიცედ თამაშობდა მოგებაზე. განსაკუთრებით ეს შემდეგ პოზიციაში გამოჩნდა.

კორჩნოი



ტალი

უეჭველია, რომ ყოველი მოჭადრაკე აქ 27. კ:f7 ლ:f7 28. ლ:c3 ითამაშებდა თეთრების მინიმალური უპირატესობით. რა თქმა უნდა, ტალი ხედავდა ამას, მაგრამ გამარტივებას კატეგორიულად უარყოფდა, ყოველნაირად ცდილობდა თამაშის გართულებას და ამიტომ 27. ეec1 ითამაშა.

იგი დაახლოებით ასე მსჯელობდა: თუ შავები 27. ... ეc8 უპასუხებენ, მაშინ პოზიცია, რომელსაც 28. კ:f7 ლ:f7 29. ე:c3 ე:c3 30. ლ:c3 შემდეგ მივიღებ, უკეთესი იქნება, რადგან წყვილი ეტლის გაცვლა თეთრ ფიგურებს გაუადვილებს ჩემს ბანაკში შემოჭრას.

მაგრამ თუ შავები 27. ... b4 ითამაშებენ? ამ შემთხვევისთვის ტალმა მზაკვრული მახე მოამზადა: 28. a3 a5 29. ab ab 30. ეa7 მe2+ 31. მფh2 ლ:c1 32. ლ:e2 ლf4+ 33. g3 ეd2 (თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ...) 34. gf ე:e2 35. კ:f7!, და თეთრები ერთ-ერთ შავ ეტლს იგებენ.

გასაგებია, რომ შავების ყველა სვლა ამ ვარიანტში სავალდებულო არ არის, მაგრამ სხვა გაგრძელებების შემთხვევაშიც ტალი სასურველ პოზიციას ღებულობდა.

მაგრამ მზესაც აქვს ლაქები! ასევე ტალიც, კომბინაციის ეს ჯადოქარი, ზოგჯერ ტაქტიკურ შეცდომებს უშვებს. 27. ... b4 28. a3 შემდეგ მან ვერ შენიშნა თავისი ჩანაფიქრის უარყოფა: 28. ... e4! 29. ab ეd3 30. ლe1 e3! და თეთრების პოზიცია დასაცავი შეიქნა. კიდევ იყო 31. კc2 ეd2 32. fe მe2+ 33. მფh1 მg3+ 34. მფg1 ეe2 35. ლd1 ლb7 36. e4 ე8:e4 და თეთრები დანებდნენ.

ორი წაგება ზედიზედ წონასწორობიდან გამოიყვანდა, მაგრამ არა ტალს. იგი VI პარტიის სათამაშოდაც მომზადებული და მხნე მოვიდა.

ბუნებრივია, რაკი 2 ქულის უპირატესობა მქონდა, შემეძლო უფრო ფრთხილი ტაქტიკა ამერჩია. მაგრამ თეთრებით ვთამაშობდი და მატჩის ერთის დაკვრით დამთავრება ძალიან მაცდუნებელი იყო. მესამე გამარჯვების შემთხვევაში ორთაბრძოლის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იქნებოდა.

ამ პარტიას ძალიან ნერვიულად ვთამაშობდი და შევცდი შემდეგ მდგომარეობაში:

ტალი



კორჩნოი

თეთრების უპირატესობას განაპირობებს არა მხოლოდ c7 პაიკის სისუსტე. ძალიან უხეიროდაა განლაგებული შავი ლაზიერი. 18. ეd1-ით შემეძლო ტალი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩამეყენებინა. მართლაც, შავებმა როგორ გადაარჩინონ ლაზიერი (მუქარა h2—h3, g3—g4 და მc4—e5)?

გახარებულმა მოვიწადინე უცებ მომეგო ლაზიერი: 18. h3? და ტალს ხარისხის შეწირვის შანსი მივეცი: 18. ... ე:d4! ინიციატივის ხელში ჩაგდებით.

რა თქმა უნდა, პარტია არც ამის შემდეგ უნდა წამეგო, მაგრამ ბრძოლის ფსიქოლოგიური შემობრუნება ვერ ვიგრძენი.

ანგარიში გახდა 3,5:2,5. მატჩი რამდენადმე შეტორტმანდა. მართალია, უპირატესობას ჯერ კიდევ ვინარჩუნებდი, მაგრამ ყოველ წუთს შემეძლო მისი დაკარგვა. დაიწყო მატჩის მესამე, დამამთავრებელი პერიოდი.

### მოსახვევი მესამე: ტალი მუდამ ტალია

დიახ, სწორედ ასე გამოიყურებოდა რიგელი დიდოსტატი ფინიშზე: იგი გახლდათ ნამდვილი ტალი თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეებით — ბრწყინვალე, თვითდაჯერებული ტაქტიკოსი და გაუბედავი ტექნიკოსი, რომელიც ზოგჯერ წარმოუდგენელ პოზიციურ შეცდომებს უშვებს.

კორჩნოი



ტალი

ეს მდგომარეობა VII პარტიიდანაა. შავების პოზიცია, ალბათ, წაგებულია. ტალის კლასის მოჭადრაკე პირდაპირ ვალდებულია მონახოს მოგების მარტივი გზა, რომელიც a და b პაიკების წინსვლას გულისხმობს. ამის ნაცვლად ტალი ჯერ აქტიურ ეტლს ცვლის — 20. ე:d7 კ:d7 21. ეd1 კe8, მერე აუფასურებს თავის უპირატესობას ლაზიერის ფრთაზე — 22. c5? რამაც 22. ... მფf8 23. f4 b6 24. cb ab შემდეგ მისი შანსი მინიმუმამდე დაიყვანა.

ცალკეული შეცდომების მიუხედავად ტალი მტკიცედ ფლობდა ინიციატივას ფინიშზე. იგი უზარმაზარი შთაგონებით, მთელი ძალით თამაშობდა, ისე, როგორც თავისი უმაღლესი სპორტული მიღწევების წლებში. მე მხოლოდ დაცვა მიხდებოდა. თამაშის პროცესში, მართალია, ზოგჯერ უკეთეს შანსს ვღებულობდი (მაგალითად, VIII და IX პარტიებში), მაგრამ ამის გამო ბრძოლის საერთო ხასიათი არ იცვლებოდა.

მატჩის დასკვნითმა პერიოდმა მწვერვალს X პარტიაში მიაღწია. იგი ტალს რომ მოეგო, მატჩის ბედი სამარჩიელო გახდებოდა. დარწმუნებული არა ვარ, გავუძლებდი თუ არა შემდგომ დაძაბულ ბრძოლას ამ შემთხვევაში.

რასაკვირველია, X პარტიაში ყაიმისთვის უნდა მეზრუნა, მაგრამ ყაიმზე თამაში არც მიყვარს და არც მეხერხება. ეს ჩემი ნაკლი კარგად გამოიყენა ტალმა. მან თავისი საყვარელი პოზიცია მიიღო და დამჯაბნა კიდეც. შესვენებამდე 20 წუთით ადრე მე უიმედო პოზიცია მქონდა.

ტალი



კორჩნოი

შავების უპირატესობის რეალიზების უმარტივესი გზა იყო მh6-g8-f6 შეტევით d5 პაიკზე და h5-დან ქიშის მუქარით. ეს იყო პოზიციის სტრატეგიული გადაწყვეტა და სწორედ ამიტომ ტალმა — იძულებითმა სტრატეგმა — მას ტაქტიკური დარტყმა ამჯობინა — 32. ... g5? რაც უშედეგო აღმოჩნდა. შემდეგ 33. fg ეg8 34. მფf2 ე:g5 35. bc dc 36. ლ:c5 თეთრებმა პაიკი მოიგეს და დაცვის საკმაო რესურსები შეინარჩუნეს. წაგების საშიშროებამ განვლო.

### ბოლოთქმა

მე შევძელი ტალის დამარცხება, მაგრამ მატჩის პარტიებმა ვერ მომიტანეს სრული შემოქმედებითი კმაყოფილება. კმაყოფილი ვარ მხოლოდ რამდენიმე სადებიუტო სიახლით, მაგალითად, IV და VIII პარტიებში. მაგრამ მთელ მატჩში თან მსდევდა ტექნიკური წუნი. მე კარგ ტექნიკოსად მთვლიან. მართლაც, ბოლო წლებში ბევრი უსისხლო ბრძოლა მოვიგე. მაგრამ ტალთან, მეტად კვიმატ და გონებამახვილ პრაქტიკოსთან, უბრალო ტექნიკით ვერას გახდები, საჭიროა ტექნიკა უმაღლეს დონეზე, მე კი სწორედ ეს მაკლდა. თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ ტალი ჩემზე მეტ ტექნიკურ შეცდომებს უშვებდა.

ტალთან მატჩი ჩემთვის ძნელი გამოცდა აღმოჩნდა. ჩვენი წინა შეხვედრების დადებითი ბალანსი უფრო ჩემზე ახდენდა გავლენას, ვიდრე ტალზე. არ დავმალავ, სწორედ ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლიდი, მომეგო რიგელისთვის. ახლა, სპასკისთან შეხვედრის წინ, ეს აღარ მაწუხებს. მესმის, რომ სპასკი ტალზე ძლიერია, ალბათ ჩემზე ძლიერიცაა და სწორედ ამიტომ მასთან უფრო მშვიდად ვითამაშებ.

(გაზეთი „შახმატნაია მოსკვა“).

# დონ შოლანდერი მხოლოდ მეოთხე

ლინკოლნი (ნებრასკის შტატი), ... აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტა... ტების მოცურავეთა ღია ჩემპიონატ... მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი რეკორ... დი იშვა: 15 წლის ამერიკელმა გო... გონამ ედი ვეტცელმა 200 მეტრ... თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვ... 2.08,8. საინტერესოა აღინიშნოს, ... ძველმა რეკორდმა (2.09,5) ... ერთი თვეც ვერ იარსება (იგი ვეტც... ლის თანამემამულე სიუ პედერს... ეკუთვნოდა). ამავე გაცურვაში II ად... გილზე გასულმა დები მაიერმა ას... „აჯობა“ პედერსენის რეკორდს — 2.09,3.

მიმდინარე ჩემპიონატში მასპინძ... მხარი აუბეს სტუმრებმაც, რომლებ... ასევე მაღალ შედეგებს აღწევენ. ... უკვე ვიტყობინებოდით კანად... რალფ ჰატონის ახალ მსოფლიო რეკო... რდზე 400 მეტრზე თავისუფალი სტ... ლით ცურვაში (4.06,5).

საუცხოოდ გამოდის მსოფლიოს რე... კორდსმენი, 18 წლის ამერიკელი მა... შპიტცი. 200 მეტრზე თავისუფ... სტილით ცურვაში მან დონ შოლანდე... რის მსოფლიო რეკორდს შეუტია. მა... თალია, იერიში ჯერჯერობით წარმატ... ბით არ დაგვირგვინდა, მაგრამ შ... ტცმა საუცხოო შედეგით (1.57,0) ... იმარჯვა. თვით მსოფლიო რეკორდსმე... ბოლო 7 წლის განმავლობაში პირვ... ლად იყო ამ დისტანციაზე, მხოლოდ... მეოთხე — 1.58.4. თავისი მარცხი შ... ლანდერმა უხეირო სპორტული ფორმ... ახსნა. „ოლიმპიური გაცურვებისთ... მზად ვიქნები“, — თქვა ბოლოს მან.

# ორი ლიდერი

**მოსკოვი, 2 აგვისტო.** (საქტ... სი). მოსკოველი ვ. გუნინი და რი... გელი ვ. კრავცოვი ლიდერობენ თა... ნამედროვე ხუთჭიდელთა საკავში... რო ჩემპიონატში, რომელიც დღ... დაიწყო „სპარტაკის“ საცხენოსნ... სპორტულ ბაზაზე, სადგურ პლან... ორნაიას ახლოს. საცხენოსნო კრო... სის 1500-მეტრიან ტრასაზე მა... ქულათა თანაბარი რაოდენობ... (1070) დააგროვეს, მაგრამ სხვა მე... ტოქეები ბევრით ვერ ჩამოიტოვეს... 6 ხუთჭიდელმა 1040 ქულა მოაგ... როვა. მათ შორის არიან მსოფლი... ოს ვიცე-ჩემპიონი ს. შაპარნის... სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბი... ლეო სპარტაკიადის ვერცხლის... პრიზიორი პ. ლედნიოვი. ამ ექვს... ეულიდან საუკეთესო შედეგი აქვს... მოსკოველ ვ. ნაზაროვს (3.19,4), რომელიც შეჯიბრების პირველი... დღის შემდეგ III ადგილზეა.

ხუთჭიდის ყველაზე „ვერაგ“ სა... ხეობაში — საცხენოსნო კროსში მონაწილე 45 სპორტსმენიდან ვერც ერთმა ვერ გაიარა დისტანცია უჯარიმოდ. „უიღბლოთა“ ბედი გაიზიარეს საერთაშორისო კლასის ისეთმა ოსტატებმა, როგორიც არიან ა. მოკეევი, ე. სდობნიკოვი, ბ. ონიშჩენკო, ვ. მინეევი, ვ. პიჩუჟკინი. მათმა უმეტესობამ 1000 ქულაც ვერ მოაგროვა.

მაგრამ წინაა ასპარეზობის კიდევ 4 დღე და ჩვენს მოწინავე ხუთჭიდელებს შეუძლიათ დანაკარგი დაიბრუნონ.

# უიღბლოდ დაიწყეს

ახლახან ვიუწყებოდით, რომ საფრანგეთის პატარა ქალაქ ლე ტუკში საბჭოთა ჩოგბურთელმა გოგონებმა მოიპოვეს ანა სუაბოს თასი — გაიმარჯვეს ევროპის იუნიორთა არაოფიციალურ ჩემპიონატში.

როგორც ცნობილია, მსგავსი შეჯიბრებები ჭაბუკებისთვისაც იმართება. ამ ტურნირის პრიზს გალეას თასი ჰქვია. საბჭოთა ჭაბუკებს წინათაც მიუღიათ გალეას თასის გათამაშებაში მონაწილეობა და წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ. წლევანდელი შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი ტრადიციისამებრ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ვიშიში მიმდინარეობს.

ნახევარფინალური შეხვედრა საბჭოთა ჩოგბურთელებს ფრანგებთან მოუწიათ. მატჩის პირველ დღეს მათ ორივე შეხვედრა წააგეს: ჟ. გოვენმა დაამარცხა ა. ვოლკოვი (6:0, 6:3), ხოლო პ. პრუასიმ—ვ. კოროტკოვი (7:5, 1:6, 6:4).

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ხვდებიან იტალიელები და ესპანელები. ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 1:1.

# ახალი ამბები

● ამსტერდამი, 3 აგვისტო. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა ტურში ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის კავალეკის შეხვედრა მოსკოვის ჩემპიონ ბრონშტეინთან ყაიმით დასრულდა. ბრონშტეინმა წინადღით გადადებული პარტია მოუგო თანამემამულე შამკოვიჩს.

● ოხრიდი, 3 აგვისტო. იუგოსლავიის ამ საკურორტო ქალაქში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი — „სოლიდარობის შეხვედრები“. XVI ტურში ერთ-ერთმა ლიდერმა — ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა კორტმა მე-14 სვლაზე ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ ოსტატ მარიჩთან. დიდოსტატების პორტიშ (უნგრეთი) — იანოშევიჩის (იუგოსლავია) და გელერ (სსრ კავშირი) — ულმანის (გდრ) შეხვედრები დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადაიდო. პოლუგაევსკიმ საინტერესო გაგრძელება გამოიყენა იუგოსლაველ დიდოსტატ მატანოვიჩთან სიცილიურ დაცვაში, მაგრამ შეცდა და დამარცხდა. ბოლო 3 ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში არიან პორტიში — 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, პოლუგაევსკი და კორტი—11-11, გელერი—10 (2).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.